საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 35 — პარასკევი. 6 ენკენისთვე 1918 წ. — № 35

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

„კინო-ტიტანიკი"
ჩერქეზოვის ქუჩა № 93.

6, 7, და 8 ენკენისთვეს 1918 წ.

„პ რ ო ტ ე ა"

გამოჩენილი საფრანგეთის სისხიკი ქალი, რომელმაც აღმოაჩინა ბუდე შპიონ-ებისა ქ. პარიზში.

5 მოქმედებიანი დრამა.

დასაწყისი: პირველი სეანსი $6\frac{1}{2}$ საათზე, მეორე—8 ს. და მესამე $9\frac{1}{2}$ საათ.

დ ი რ ე ქ ც ი ა.

არსდება ამხანაგობა სახელწოდებით

«კავკასიის საზოგადოება მანუფაქტურის წარმოებისა»

ძირითადი თანხა 2,500,000 მან. წევრებათ ჩაწერა და აგრეთვე მიწოდება ყოველივე ცნობებისა ხდება გოლოვინის პროსპექტზე № 10 კანტორა „კ ო მ ე რ ს ა ნ ტ" დილ 9 საათ. ნაშუად. 2 საათ. და საღამოს 6—9 საათამდე. პროვინციებში გაიგზავნება საგანგებო პირი, თუ წინასწარ შესაფერი ცნობა მოვა ტელეგრამით მსურველებიდან. 4—4

## ტფილისის სამხედრო ზემრის უფროსის განცხადება ჯარში გასაწვევთა საყურადღებოდ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით, ყველა მოქალაქე, რომელიც დაბადებულია 1896, 1897 და 1898 წ. არა უგვიანეს ამა წლის 10 სექტემბრისა უნდა გამოცხადდეს სამხედრო უფროსებთან შესამოწმებლად და ჯარში მისაღებად. ქ. ტბილისში მცხოვრებნი უნდა გამოცხადდნენ ტფილისის სამხედრო უფროსის შესაკრებელ ადგილას ამა წლის 6 სექტემბერს დილით, ხოლო ტფილისის მაზრაში მცხოვრებნი—7 და 8 სექტემბერს. ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებნი უნდა გამოცხადდნენ ქ. შულავერში—9 და 10 სექტემბერს, სადაც ამისთვის იმოქმედებს საგანგებო მიმღები კომისია. ის გასაწვევნი პირნი, რომელნიც სწავლობენ საშუალო სასწავლებლებში, დანიშნულ ვადაზე უნდა გამოცხადდნენ შესაკრებელ ადგილებში და ამასთანავე წარმოადგინონ მოწმობა სამოსწავლო მთავრობისა, რომ ისინი მოსწავლენი არიან. ასეთ პირებს მიეცემათ შეღავათი სწავლის დასამთავრებლად 22 წლის შესრულებამდე. დანარჩენ გასაწვევ პირთ, უნდა ჰქონდეთ მეტრიკა ან სხვა რაიმე საბუთის ქაღალდი, თავისის წლოვანობის დასადასტურებლად.

ის პირნი, რომელნიც თავის თავს სთვლიან სხვა რესპუბლიკის ქვეშევრდომათ, გაწვეულნი არ იქნებიან, მაგრამ უნდა გამოცხადდნენ შესაკრებელ ადგილებში და თან წარმოადგინონ ჯეროვან კონსულის უფლებით აღჭურვილი დაწესებულების მოწმობა, რომ ისინი ნამდვილად სხვა რესპუბლიკის მოქალაქენი არიან. ვისაც ასეთი მოწმობა არ ექნება, ის გაწვეული იქნება ჯარში. ოფიცრები, რომლებიც დათხოვნილი არიან სათადარიგო ჯარში, გაწვეული არ იქნებიან.

გასაწვევ პირთა აღნიშნულ ვადაზე შესაკრებელ ადგილზე გამოუცხადებლობა ისე იქნება მიჩნეული, რომ ისინი ჯარში სამსახურს გაურბიან და დაპატიმრებისათანავე სამხედრო სამართალში იქნებიან მიცემულნი.

სამხედრო ზეგარის უფროსის მაგიერ პოლპოლკოვნიკი ზუსაკოვსკი.

ვაჟთა და ქალთა გიმნაზია
ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. გამოცდები და განმეორებითი გამოცდები—26 აგვ. (ახ. სტილით). კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.

ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

50—9

გიმნაზიის გამგე ხ. ნ. შულგინი.

## განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების თანახმად, გზათა სამინისტროსთან უკვე შესდგა კომისია იმ საჩივრების გასარჩევად, რომელიც აღძრულა და იქნება საქართველოს სახაზინო რკინის გზების შტატ-გარეშე დათხოვნილ მოსამსახურეთაგან. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას, რისთვისაც ყოველი საჩივარი შტატ-გარეშე დათხოვნილ რკინის გზის მოსამსახურეთაგან უნდა იქმნეს შემოტანილი ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაზედ, ვინაიდან ამ ვადის გასვლის შემდეგ არავითარი საჩივარი კომისიის მიერ მიღებული არ იქნება. საჩივრის შემოტანა შეიძლება ორი კვირის განმავლობაში, ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, გზათა სამინისტროს საიურისკონსულტოში, პეტრე დიდის ქუჩაზედ № 8.

კომისიის თავმჯდომარე გზათა სამინისტროს იურისკონსულტი კ. მიქელაძე.

## რაჭა-ლეჩხუმის ჯგუფი

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას 8 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე

მუშთაიდის კლუბში დანიშნულია კრება.

ყველას, ვინც კი ამ ჯგუფის მიზნებს იზიარებს ან თანაუგრძნობს, დაბეჯითებით ვსთხოვთ დაესწრონ ამ კრებას.

## ოფიციალური განყოფილება

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა.

4 სექტემბერი, 1918 წ.

№ 34.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს უფლება ეძლევა საჭიროებისამებრ დროებითი მოადგილე დანიშნოს, როგორც საგანგებო სალიკვიდაციო განყოფილების მთავარ გამგისა, ისე საქართველოს რესპუბლიკის საქონლის გამცვლელ კომიტეტის თავმჯდომარისა, შესაფერის უფლებით და მინდობილობით აღჭურვილი.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ჟ უ რ უ ლ ი.

3 ენკენისთვე 1918 წ.

№ 35

დანიშნულ იქმნენ გერმანიაში გასაგზავნად საეკონომიო კომისიის თავმჯდომარედ იასონ თომას ძე ბაქრაძე და წევრებად ნიკოლოზ ნიკიფორეს ძე კანდელაკი და მიხეილ გიორგის ძე ყაუხჩიშვილი.

ფინანსთა მინისტრი გ. ჟ უ რ უ ლ ი.

27 აგვისტო, 1918 წ.

№ 31.

დანიშნულ იქმნენ: ბათუმის წითელი ჯვრის საზოგადოების საავტომობილო-სასანიტარო კოლონიის ყოფილი უფროსის თანაშემწე ივანე ანტონის ძე არჯევანიძე—ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ვაჭრობის და სავაჭრო ნავთსადგურების განყოფილების კანცელარიის საქმის მწარმოებლად ამა წლის 6 აგვისტოდან; ახალი შტატის მიხედვით, ხოლო ჯითელი ჯვრის საზოგადოების საინსპექტორო განყოფილების ყოფილი უფროსის თანაშემწე ვასილ მიხეილის ძე ფავლენიშვილი—იმავე კანცელარიის ბუჰგალტერის უმცროს თანაშემწედ 1918 წლ. 15 აგვისტოდან.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

31 აგვისტო, 1918 წ.

№ 37.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: ცენტრალურ საადგილ-მამულო სამმართველოს სატყეო განყოფილების გამგის თანაშემწე ნ. გ. მჭედლიშვილი—ცენტრალურ საადგილ-მამულო სამმართველოს საძოვრის გადასახადთა განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, შტატ გარეშე, ამა წლის 1 სექტემბრიდან.

31 აგვისტო. 1918 წ.

№ 38.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: 1. ბორჩალოს მაზრის სახაზინო მიწების და გადასახადთა ზედამხედველი ვ. ა. ზასლავსკი ლორის ტყეთა (ტფილისის გუბ.) მეორე ხარისხის ტყის საქმეთა გამგეთ.

2, ერევან-ყარსის მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განკარგულებაში მყოფი, პირველი ხარისხის ტყის საქმეთა გამგის თანაშემწე დ. მ. ხუციშვილი ალაზნის იქით მდებარე ტყეთა მესამე ხარისხის ტყის საქმეთა გამგეთ.

3, განჯის მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განკარგულებაში მყოფი მეორე ხარისხის ტყის საქმეთა გამგის თანაშემწე ი ა რ ო შ ე ნ კ ო-იმავე თანამდებობაზე ტფილისის მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განკარგულებაში.

4, ქუთაისში სანერგის ყოფილი მებაღე ი. ლ. მირიანაშვილი მეორე ხარისხის ტყის საქმეთა გამგის თანაშემწედ ტფილისის მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განკარგულებაში.

5, შავი ზღვა-ყუბანის მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებთა სამმართველოს განკარგულებაში მყოფი ტყის საქმეთა გამგის თანაშემწე ი. პ. ხოსიკურიძე—მესამე ხარისხის ტყის საქმეთა გამგის თანაშემწედ ტფილისის მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს განკარგულებაში, ხუთივე ამა წლის 1 სექტემბრიდან.

31 აგვისტო, 1918 წ.

№ 39.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: ტყის უფროსი რევიზორი ლ. ი. ზაკტრეგერი და ყარაიაზის ტყის საქმეთა გამგე ს. ვ. ამაშუკელი—საქართველოს ტყეთა ვიცე ინსპექტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად, ორივე ამა წლის 1 სექტემბრიდან.

31 აგვისტო, 1918 წ.

№ 40.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: აგრონომი ლებედოვი—თელავის იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც მინდობილი აქვს წინანდელ კერძო სამფლობელო ტყეთა მიღება და პირველი ხარისხის ტყის საქმეთა გამგის თანაშემწე ე. მ. ლინდი—ამავე კომისიის ტეხნიკოსად. უმცროსი მენიხრე დ. ვ. კოჩუბეევი—ფოთის იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც მინდობილი აქვს წინანდელ კერძო სამფლობელო ტყეთა მიღება და ტყის ტეხნიკოსი ნ. გ. პაპიშვილი—იმავე კომისიის ტეხნიკოსად, ოთხივენი ამა წლის 1 სექტემბრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 აგვისტო, 1918 წ.

№ 41.

დანიშნულ იქმნა: ქუთაისის საგუბერნიო სადგილმამულო სამმართველოს წევრი მითაიშვილი—საერო სიმდიდრეთ მიჩნეული მამულის „ვარციხე" (ქუთაის. გუბ.) მმართველის თანამდებობაზე ამა წლის 24 აგვისტოდან.

დამტკიცებულ იქმნა: ქუთაისის საგუბერნიო სადგილ-მამულო კომიტეტის წევრი ბ. ნ. ფალავა—ამავე კომიტეტის წევრის თანამდებობაზე ამა წლის 1918 წ.

დათხოვნილ იქმნა: ქუთაისის საგუბერნიო სადგილ-მამულო სამმართველოს წევრი—ი. გობეჩია ამ თანამდებობიდან ამა წლის 17 აგვისტოს.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

ნ. ვ. ხომერიკი.

## არა ოფიციალური განყოფილება.

თბილისი, 6 ენკენისთვე.

რუსეთის ე. წ. საბჭოთა რესპუბლიკა როგორც ვიცით, საქართველოს დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ არ სცნობს. რუსეთის პოლიტიკური აგენტები უცხოეთში ყველგან დაძრწიან და ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობას.

იმდენათ ძლიერია რუსეთში სხვებზე ბატონობის სურვილი, რომ „კომუნისტური" მთავრობაც კი ძველი თვითპყრობელური გულმოდგინებით იბრძვის თავისუფალ გამოყოფილ ერების დასამორჩილებლად.

რუსეთის საბჭოთა თვითპყრობელური მთავრობა ამ გვარი საერთაშორისო პოლიტიკით ცხადია თავის აწეწილ-დაწეწილ საქმეებს ვერ გამოასწორებს, ხოლო გარშემორტყმულ ახლად წარმოშობილ სახელმწიფოებთან სამუდამოთ ჩასტეხს კეთილგანწყობილების შესაძლებლობის ხიდს.

ჩვენ არ ვიცით როგორ ურთიერთობას მოისურვებს საქართველოს რესპუბლიკასთან რუსეთის არა ბოლშევიკური მთავრობა, რომელიც დღეს იქნება თუ ხვალ ბოლშევიკების ნაცვლად მოევლინება რუსეთის ხალხს.

ჩვენი შეხედულება ასეთია.

თუ რუსეთს სათავეში დაუდგება ნამდვილი დემოკრატია, განთავისუფლებული შოვინიზმისაგან, დიდპყრობელობისა და იმპერიალიზმისაგან, მას არ შეუძლია არ იწამოს ერთა თვითგამორკვევის უკვე მომხდარი ფაქტი, მას არ შეუძლია არ აღიაროს ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების ხელუხლებლობა.

ყოველი მთავრობა, რომელიც ამას არ მოიმოქმედებს არსებითად რეაქციონური, ანტი-დემოკრატიული და დიდპყრობელურ-დამპყრობელი იქნება. და რასაკვირველია მის ჩვენ ჩასაყლაპავათ მომართულ პოლიტიკას ყოველ შემთხვევაში შევებრძოლებით.

სამწუხაროთ, პირველი შესაძლებლობის იმედი დიდი ხანია გამქრალია. შეგვრჩა ხელში მეორე, ჩვენთვის არა სასიკეთო გამოსავალი.

მაგრამ საერთაშორისო ინტერესების სასწორი იმდენათ შეირყა რუსეთის საზარალოთ, რომ იგი, ვფიქრობთ, ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება შეურიგდეს მას რაც არის და იცნოს განთავისუფლებული ერთა დამოუკიდებლობა.

ყოველ შემთხვევაში დღევანდელი პირობებისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სამართლიანათ, გონიერათ და წინდახედულათ გადაწყვიტა: თუ რუსეთის მთავრობამ არ იცნო ჩვენი წარმომადგენელი, არც საქართველოს მთავრობა იცნობს რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში.

ასეთია ჩვენი გადაწყვეტილება რუსეთის მთავრობის და საქართველოს დღევანდელ ურთიერთული დამოკიდებულების შესახებ.

ჩვენ კი ხანია დამოუკიდებლობის და თავისუფლების გზა ავირჩიეთ. ჩვენი საერთაშორისო ორიენტაცია ძირიანათ შეიცვალა, გერმანიას დაუკავშირდით და შევდივართ თავისუფალ ერთა და სახელმწიფოთა საერთაშორისო ოჯახში.

თუ ამას არ დაინახავს და არ იცნობს რუსეთის მთავრობა, მით უარესი მისთვის და მისი საერთაშორისო პრესტიჟისათვის.

* * *

დღეს რუსეთში მრავალ მართველობაა გაბატონებული. რამდენი გუბერნია, ოლქი თუ მაზრაა, იმდენი საბჭოთა „ბოლშევიკური" რესპუბლიკაა. ამ მხრით თანამედროვე რუსეთი ბაბილონის გოდოლს წარმოადგენს.

მაგრამ მიუხედავათ ამ საგუბერნიო და სამაზრო „რესპუბლიკებისა" არის მთავარი ცენტრალური საბჭოთა მთავრობა, რომლებსაც თავმჯდომარეობს დღეს ერთი უცნობი ესერი ქალისაგან დაკოდილი ლენინი.

ეს არის მოსკოვის მთავრობა. მაგრამ ბოლშევიკურ რუსეთში სხვა ანტი-ბოლშევიკური მთავრობანიც გაჩნდნენ. ერთია სამარაში მეორე ციმბირში.

სამარის მთავრობა ესერულია. აქ არის მთავარი სამხედრო და პოლიტიკური დასაწყისი დამფუძნებელი კრების ფრონტისა გამორკვეულია, რომ სამარის მთავრობა ჩეხო-სლოვაკების ძალას ემყარება და შეთანხმებულია ინგლის-საფრანგეთის ჯარის მოქმედებასთან. სამარის მთავრობა სხვანაირათ კიდევ ასე დახასიათდება: იგი არის ანტიბოლშევიკური და ანტიგერმანული ერთსა და იმავე დროს.

არსებითად იმავე მიზანს ისახავს ციმბირის კოალიციონური მთავრობა.

თუ დავუჯერებთ ზოგიერთ ცნობებს, მოსკოვის ბოლშევიკური მთავრობის სამოქმედო ტერიტორია თანდათან კლებულობს და იზრდება გავლენა სამარის და ციმბირის მთავრობის. ეს თუ არ არის სავსებით მართალი, ერთი მაინც ცხადია ის, რომ რუსეთში ბოლშევიკების პოლიტიკური გავლენა თანდათან დნება და გზა ეხსნება სხვა ძალების პოლიტიკურ ბრძანებლობას.

რომელი მთავრობის პოლიტიკა უფრო ხელსაყრელია საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობისთვის, ამას ახლა არ შევეხებით. მხოლოდ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ყველა პარტია, ყველა კლასი, ყველა მთავრობა, როგორც მოსკოვის, ბოლშევიკური, ისე სამარის და ციმბირის, ანტი-ბოლშევიკური, რუსეთის გაერთიანებას და აღდგენას ისახავს მიზნად. და თუ ყველანი ერთად არ არიან, ამის მიზეზია სხვადასხვაობა შინაურ და საერთაშორისო პოლიტიკის შინაარსში, ტაქტიკაში, ორიენტაციის საკითხში და სხ.

ჩვენ რუსეთის პოლიტიკური არევ-დარევის ევოლიუციას ფრთხილად უნდა ვადევნოთ თვალ-ყური და ყველგან ხელი უნდა შევუწყოთ ისეთ საერთაშორისო მიმართულებას, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და დემოკრატიის განვითარების თავისუფლებას.

## არჩევნების გამო.

დიდი ხანია ჩვენ და ბოლშევიკურ რუსეთს შორის ნორმალური მიმოსვლა შესწყდა, ნამდვილი ცნობები რუსეთის შესახებ ნაკლებ მოგვეპოვება, მაგრამ ის მცირე მასალა რომელსაც გვაწვდის რუსეთიდან ჩამოსული ან შემთხვევით მიღებული გაზეთი ცხად ჰყოფს ერთ უდავო დებულებას: ბოლშევიკური რუსეთი გაიხრწნა და მისი აღსასრულის ჟამიც მოახლოვებულია. ასეც უნდა მომხდარიყო.

პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ მახვილსა და ტლანქ ძალას და ცდილობს ობიექტიური პირობების გადალახვას, ცხადია, დიდხანს ვერ იბოგინებს და უეჭველად გახდება მსხვერპლი დაუნდობელი სინამდვილისა.

თუმცა ჩვენთვის ბოლშევიკების ასეთი ხვედრი უდავოა, მაგრამ სანამ მათ უპყრია რუსეთის პოლიტიკური სადავე, ჩვენ იძულებული ვართ ბოლშევიკურ აზროვნებას და პრეტენზიებს ანგარიში გაუწიოთ.

საქართველოს დემოკრატია, სანამ შესაძლებელი იყო, რუსეთის ფარგლებში, რუსეთის დემოკრატიასთან ერთად იღვწოდა და მოქმედებდა, საერთო ძალით ფიქრობდა ბოლშევიზმის დამარცხებას და ისეთი წესების დამკვიდრებას, რომლის ჩარჩოში მთელი რუსეთის სასიცოცხლო ძალების დარაზმვა და საერთო მიზნისკენ მიმართვა შესაძლებელი იქნებოდა. ეს არ მოხერხდა, ბოლშევიზმი გაძლიერდა, ბოლშევიკური ციებ-ცხელება მოედო მთელ რუსეთს, მას თან დაჰყვა საშინელ ნგრევა-რღვევის პროცესი; გამთიშველი, დამრღვევი ძალა უფრო ძლიერი გამოდგა, ვინემ კეთილი სურვილები და მისწრაფებანი ჩვენი დემოკრატიისა.

რუსეთის ნიადაგზე ჩვენი დემოკრატია დამარცხდა და თუ მას სურდა რევოლიუციურ მონაპოვართა შენარჩუნება, ქართველი, ერის მომავლის უზრუნველყოფა სხვა გზა უნდა გამოენახა; სხვა ტაქტიკას უნდა შესდგომოდა. ასეც მოიქცა: ქართველმა დემოკრატიამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოაცხადა.

აშკარაა, ქართველი დემოკრატიის ასეთი ნაბიჯი ბოლშევიკურ რუსეთში ვერ პოვებდა თანაგრძნობას; პირიქით, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა გაგვიმართეს, მოგვიწყეს მთელი რიგი შეიარაღებულ გამოსვლებისა და შეუდგენ დაუსრულებელ ღალატს: ქართველი ხალხი არ სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, ებრძვის და უარყოფს მას, ქართველი ხალხი მთელი არსებით რუსეთისკენ მიისწრაფვის; ბრძოლა, რომელიც გაჩაღდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში ეს არის რისხვა მიმართული მოღალატე მთავრობის წინააღმდეგ, ქართველი ხალხი ჩამოშორდა ქართველ სოციალდემოკრატიას სწორეთ იმიტომ, რომ მან ქართველი დემოკრატია მოსწყვიტა რუსეთსო,—ასე ასკვნიდენ ბოლშევიკები.

მაგრამ ეს რომ პროვოკაცია და სიყალბე იყო ყველასათვის მალე გამოაშკარავდა. ქართველი ხალხი თავის დემოკრატიასთან სდგას. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის დღევანდელი არჩევნები.

ჩვენში საერობო არჩევნები დაიწყო; აქ ქართველ ხალხს შემთხვევა ეძლევა სთქვას გადაჭრილი სიტყვა, სრულ ჰყოს თავისი ნება და თავისი უზენაესი ვოტუმით დაამტკიცოს და მოიწონოს ის გზა, რომლითაც ვიდოდა დემოკრატიის აზროვნება და საქმიანობა, ან და დაგმოს, ჩაწიხლოს ყველა განვლილი ეტაპები და მით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტიც უარჰყოს.

მართალია, ჯერ არ დამთავრებულა ყველგან არჩევნები, მაგრამ ფრიად საგულისხმოა არჩევნების შედეგი იმ ადგილებში, სადაც უკვე საერობო კომპანია ჩატარდა. ყველგან საერობო არჩევნებში ხალხმა ნდობა გამოუცხადა სოციალისტურ ბლოკს, განსაკუთრებით სოციალდემოკრატიას. და ეს საერობო კომპანია, რომელიც საქართველოს უფრო განვითარებულ და პოლიტიკური გაწრთვნილ კუთხეებში დამთავრდა, პირდაპირი პასუხია იმ ჭორებზე, რომლებსაც ასე ურცხვად ჩმახავდენ და ავრცელბენ ბოლშევიკები და ქართველი ხალხის მოძულენი.

ეს საერობო არჩევნები და იქ გამოხატული ნება დადასტურებაა მთელი იმ პოლიტიკის, რომელსაც აწარმოებდა დემოკრატია, დადასტურებაა ჩვენი დამოუკიდებლობის აქტის და თან ნამდვილი დემონსტრაცია მათ წინააღმეეგ, ვინც ებრძვის საქართველოს და მის დამოუკიდებლობას.

ჰ.

## მიწის რეფორმის გარშემო.

დიდი უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეებისა მიწათ-მოქმედია. ამიტომ მთელი ჩვენი ბედ-იღბალი, პოლიტიკური თავისუფლების და რევოლიუციის მონაპოვარის შენარჩუნება მათგან, გლეხების, ე. ი. მიწის მუშებისაგანაა დამოკიდებული.

რა მდგომარეობაშია ამ მხრივ საქმე?

გლეხი წვრილი მესაკუთრეა. კერძო საკუთრების სულის კვეთებით. გაღენთილი, ის მეტის მეტი იჭვიანია, ძველი რეჟიმის მიერ გულ გატეხილი; გლეხი გულუბრყვილოა, მაგრამ გულჩახუთული; ის უაღრესად რეალისტია. მიწის მუშა მხოლოდ მაშინ დაგიჯერებს, თუ მას აგრძნობინე, პრაქტიკულად დაანახვე, რეალურათ საჩვენებელი გახადე მისთვის სასარგებლო საქმე. რევოლიუციის მიერ მოპოებული პოლიტიკურ-მოქალაქობრივი თავისუფლება ჯერ-ჯერობით გლეხისათვის იმდენად არ არის გასაგები და საგრძნობელი.

ვერ ხიბლავს გლეხს რევოლიუცია სახელმწიფოში შინაური წესწყობილების დამყარებითაც. იგი ვერ ხედავს კარგად მოწყობილ მტკიცე, ხალხის ერთგულ მოსამსახურე ადმინისტრატიულ აპარატს; მისთვის კომისრები იგივე მამასახლის—„პრისტავი—ნაჩალნიკ-გუბერნატორია", ხშირად სახელსაც (ძველებურად უძახის). სამწუხაროდ, ზოგიერთი კომისარი ძველ პოლიციელზე უარესათ იქცევა.

მოუწესრიგებელია აგრეთვე სასამართლო, ასე რომ რევოლიუციას და მის გამაბედნიერებელ სხივებს გლეხი ჯერ კიდევ ვერ გრძნობს; თავისუფლება ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდა მის სულსა და გულს, ჯერ კიდევ ვერ მოინადარა სავსებით გლეხის არსება. და აი რევოლიუციონურ ცხოვრების საკმარისად გულ გრილად შემყურე გლეხი დიდის ფაცა-ფუცით თვალ ყურს ადევნებს მიწის რეფორმას; მთელი გულის ყური მიწისკენ აქვს მიქცეული. რევოლიუციას იგი გაიგებს, გაშინჯავს, დააფასებს მიწის რეფორმით. რევოლიუციამ თუ მიწა მისცა, გლეხი მას თავგამოდებით დაიცავს, სისხლს დაღვრის მისთვის, თუ არა და რევოლიუციას, თუმცა თავის მონური, მაგრამ მყუდრო ცხოვრების დამრღვევს, სამუდამოთ მოიძულებს, უკუაგდებს.

ამისათვის მთელი გულის ყური მთავრობისა მიწის რეფორმისაკენ უნდა იქმნეს მიქცეული. რაც გინდ თავსამტრევი და ძნელი იყოს ეს საკითხი, დაუყონებლივ უნდა იქთვას უკანასკნელი სიტყვა. მიწის რეფორმამ მთლიანი კანონის სახით ხორცი უნდა შეისხას. დღევანდელი ცალ-მხრივი კანონი არაა დამაკმაყოფილებელი. გლეხებს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი-მიწების ჩამორთმევა ისე არ აინტერესებს, როგორც მიწების ჩაბარება-მისაკუთრება.

დღეს დღეობით სხვა მიწათ-მფლობელობის ფორმას, გარდა კერძო საკუთრებისას, გლეხკაცობა ვერ შეიგუებს. ამას მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს. რასაკვირველია, ნორმაზე ზევით სოფლელებისთვის მიწის საკუთრებად გადაეცემა არ შეიძლება, მხოლოდ განაწილების დროს ოჯახის შემადგენლობა, სარჩენთა რიცხვი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. პირველ ყოვლისა უნდა დაკმაყოფილდეს უმიწა-წყლო გლეხები, შემდეგ მცირე მიწა-წყლიანი. რაც შეეხება სასყიდლის გაღებას, ეს საკითხი ფრთხილად უნდა გადიჭრას. ყოველ შემთხვევაში უღარიბეს გლეხებს მიწა ან სულ მუქთად და ხარჯის გაუღებლად უნდა მიეცეს, ან დიდის შეღავათიანი პირობებით გადახდეს ხვედრი ფული.

პირველი ნაწილი მიწის რეფორმისა—ცალ-მხრივი მიწის კანონი—უკვე ხორციელდება მთავრობის მიერ. მესაკუთრეებისთვის მიწის ჩამორთმევა უკვე დაიწყო. სათანადო ორგანოები დაარსდა და მუშაობას შეუდგა, თავის თავად ცხადია, მიწის რეფორმის განმახორციელებელ ორგანოებს რა დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი ახლო დგანან ხალხთან და ეხებიან გლეხისთვის საარსებო საგანს—მიწას. დიდი სიფრთხილე, წინდახედულობა და პირადი გაცნობაა საჭირო იმ პირების, რომელნიც მთავრობის მიერ ინიშნება სადგილ-მამულო კომიტეტ-გამგეობებში. ამ ორგანოებში ხალხის ერთგულნი მეგობრები უნდა იყვნენ დანიშნულნი. გლეხი მგრძნობიერია, შთაბეჭდილებას ელვის სისწრაფით ითვისებს, იგი ამას მაშინათვე მიხვდება. აი ამიტომ ყველა კომისიები და გამგეობის შემადგენლობას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და დაუყონებლივ არა შესაფერნი პირები დათხოვნილნი უნდა იქმნენ. საგუბერნიო სადგილ-მამულო გამგეობის და მისი მიმღები (ჩამომრთმევი) კომისიების შემადგენლობას არ შევეხები, მაგრამ ცენტრალ სადგილ-მამულო მმართველობის (Краевая земельчая управа) ზოგიერთი მოსამსახურე პირი თავის ადგილზე არ არის. საგუბერნიო გამგეობის მიმღები კომისიები ენერგიულათ მუშაობენ, მაგრამ ეგევე არ ითქმის მთელი მხარის გამგეობის კომისიებზე. მიმღებ კომისიის მუშაობას წინ უნდა მიუძღოდეს ცენტრალ მმართველობის კომისია. უმჯობესია ჯერ ცენტრალ გამგეობის კომისიამ უნდა გაიაროს სოფლებში და მერე მიმღებ კომისიამ. ეს საჭიროა და აი რატომ.

გ. შ—ია.

## პრესის მიმოხილვა.

ყველას უნდა მოეხსენებოდეს, თუ რა დიდ როლს თამაშობს დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში რკინის გზები და ფოსტა-ტელეგრაფი. მათი მოუწესრიგებლობა მძიმე ტვირთად აწვება ყოველგვარ სახელმწიფოს. ამ მხრივ ერთიერთმანეთზე უხეირო პირობებში იმყოფებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების ის თათბირი, რომელიც ამ დღეებში დაიწყო და რომლის მიზანია რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის საქმეთა მოწესრიგება—და იმედია შესაფერ ნაყოფს გამოიღებს. თათბირში რესპუბლიკათა წარმომადგენლების გარდა ჩვენი მოკავშირის და ოსმალეთ-ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენლებიც

მონაწილეობენ და ეს კი მეტ იმედებს გვაძლევს თათბირის ნაყოფიერებისას. „ერთობა“ ამ თათბირის შესახებ სწერს:

„აქ ქინიანობასა და სხვა და სხვა ორიენტაციის პრინციპით ხელმძღვანელობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შეთანხმებით მუშაობა და ურთიერთ შორის მეგობრული განწყობილება ეკონომიურ ნიადაგზე აგვაშენებს, ცალცალკე სიარული კი დაგვღუპავს.

მიმოსვლის აღდგენა, ნაწარმოების სწრაფათ გაცვლა-გამოცვლა ყველა ერების საჭირბოროტო საკითხია; ეს ის მთავარი პრობლემაა, რომელიც უნდა დაუყონებლივ გადაწყდეს და მისი შორეულ მომავლისთვის გადადება, ყველას დიდ ზარალს გვიქადის. ყველა რესპუბლიკათა დემოკრატია ამაში არსებითადაა დაინტერესებული და იგი მედგრათ მოითხოვს, რომ რკინის გზებისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმის მოწყობა ჩვენ შორის ეკონომიურ კავშირს გააცხოველებს და მით მძიმე პირობებს, რომელშიაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მცხოვრებნი იმყოფებიან, საგრძნობლათ შეასუსტებს. ეკონომიურ ნიადაგზე დაკავშირება დემოკრატიის მთავარი სურვილია. ამას მოითხოვს ის თავიანთ რესპუბლიკათა წარმომადგენლებისაგან“.

* * *

„გრუზია“ ეხება თერგის და ყუბანის ოლქში გამძვინვარებულ ანარქიას, რომელსაც ცუდი გავლენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე.

„იმის გარდა, რომ შესწყდა საქონლის გაცვლა-გამოცვლა პირველ საჭიროებათა, საგნებ.ს შემოზიდვა—ჩრდილო კავკასია გადაიქცა ჩვენს წინაალმდეგ შეთქმულ პოლიტიკურ ორგანიზაციათა კერად. სოხუმის ოლქის თავდასხმა, რაჭის და დუშეთის ამბები—იმ აგიტატორთა საქმეა, რომლებიც ჩრდილო-კავკასიაში ღებულობენ ფულს და სამხედრო მასალას. ამას გარდა უნდა მიექცეს ყურადღება იმ დევნასა და წამებას, რომელსაც განიცდიან ამ უკანასკნელ დროს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ქართველები და ადერბეიჯანელები.

საქართველოს მთავრობამ ამას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და ენერგიული ზომები მიიღოს, რათა გავლენა იქონიოს ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ წრეების ხელმძღვანელებზე.

ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გერმანიის წარმომადგენელთა ყურადღებაც იქნას მიქცეული, რადგან არც ისინი არიან ჩვენზე ნაკლებ დაინტერესებულნი ჩრდილოეთ კავკასიის დაწყნარებაში“.

რა თქმა უნდა, როგორც ჩვენი მთავრობა ისე გერმანიის წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან რომ ჩრდილო კავკასიაში ანარქია არ მძვინვარებდეს. და რაც უფრო სავალალოა, ჩვენს წინაალმდეგ შეთქმული პოლიტიკური ორგანიზაციები მყუდროებას არ არღვევდნენ ჩვენს სახელმწიფოში.

შესაძლოა ჩვენ იძულებულნი გავხდეთ და მივმართოთ მართლაც უკანასკნელ ზომებს ჩრდილო კავკასიის პოლიტიკურ წრეების ხელმძღვანელთა წინაალმდეგ, რომელთა რიგშია ფინანსთა მინისტრი ფილიპე მახარაძე, რომლის განკარგულებაშიაც არის 10 მილიონი მან. კავკასიაში ბოლშევიზმის საქადაგებლად საჭირო ხარჯებისათვის.

## გერმანული პრესა.

ადგილობრივი გერმანული გაზეთი „კ. პოსტი“ ეხება საქართველოს აგრარულ ურთიერთობას და იმ კანონს, რომელიც ამიერ კავკასიის სეიმმა მიიღო და საქართველოში ტარდება თანდათანობით ცხოვრებაში.

მიწის რეფორმა ერთი უდიდეს რეფორმათაგანია და მის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა და დასაბუთებული შეხედულების გამოთქმა ყოველთვის საყურადღებოა.

მაგრამ არ ვფიქრობთ გერმანული გაზეთი მართალი იყოს ჩვენი აგრარული ურთიერთობის და მიწის კანონის მნიშვნელობის საერთო დახასიათებაში.

ჩვენი აგრარული ურთიერთობა ერთობ რთულია და შესაძლებელია უცხო თვალს გაუჭირდეს იმის დანახვა, რაც აუცილებელია სწორი დასკვნების გასაკეთებლათ.

გაზეთის შეხედულობით აგრარული კანონი ვითამ მიმართულია საკუთრების, კულტურის და სახელმწიფოებრივობის წინაალმდეგ.

ცხადია, აგრარულ კანონს შევსება ესაჭიროება. ეს უკვე აღიარებულია ჩვენი მთავრობის მიერ, აუცილებელია კანონით აღინიშნოს თუ როგორ, რა წესით და რა პირობებში უნდა გადაეცეს უმიწაწყლო გლეხობას მიწა.

მაგრამ იმის თქმა შეუძლებელია, რომ კანონი კულტურას და სახელმწიფოებრივობას ეწინაალმდეგება. პირიქით ჩვენი სახელმწიფოებრივობა ვერ გამაგრდება, თუ ჩვენს გლეხობას საშუალება არ მიეცა თავის მიწადმფლობელობის და საკუთრების გასაფართოებლად და განსამტკიცებლათ, საერთოთ ეკონომიურათ გასაძლიერებლათ. ჩვენი ერის კულტურული წინსვლა სწორეთ ამაზეა დამოკიდებული. სულ სხვა საკითხია, თუ რა პირობებში უნდა გადაეცეს გლეხობას სახაზინო თუ მსხვილ მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწები.

მოგვყავს ზოგიერთი ადგილები K. Post-ს წერილიდან, რომლის დედა აზრს არ ვეთანხმებით.

„ექსპროპიაციის ან ძალდატანებითი საკუთრების მოსპობის შესახებ დეკრეტი მხოლოდ რამოდენიმე თვეა რაც გამოქვეყნდა და მან უკვე საქართველოს ტერიტორიაზე დიდი გამანადგურებელი შედეგები გამოიწვია. როდესაც თავის დროზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობამ თავის სოციალისტურ წევრთა ზეგავლენით, დაადგინა, რომ ყველა არა გლეხი, დიდი მესაკუთრე თავის მამა-პაპურ კერას ჩამოცილებოდა და მათ მათივე საკუთარი ქონებიდან სამოწყალოდ 7 დესიატინა მიცემოდა, მაშინ მთავრობა ამას ხსნიდა მით, რომ მას უნდოდა ამ გზით გლეხების გაბედნიერება. იმ წოდებას, რომელმაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართული კულტურა შეინახა და დაიცვა, სოციალ-დემოკრატების წყალობით წაერთვა სოფლის მამული და ერთი კალმის მოსმით საქართველოს მოქალაქენი ათასობით პროლეტარებათ იქცნენ. მაგრამ ამ კანონის შემქნელთ დაავიწყდათ, რომ ძალდატანებით და ასეთი სიჩქარით გატარებულ საკუთრების უფლობის შეცვლას თან მოსდევს სამეურნეობრივი კრიზისი და სამეურნეო კულტურის დაშლა“.

შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველი გლეხი სამეურნეო კულტურას სრულიად მოკლებულია, მაშინ, როცა მსხვილ მესაკუთრეებს ეს კულტურა საკმაოდ განვითარებული ჰქონდათ, მხოლოდ ეხლა დეკრეტის მეოხებით ეს კულტურაც ისპობა.

მეორე დიდი შედეგი ამ დეკრეტისა ზნეობრივი ხასიათისაა. გლეხებმა სრულიად მოულოდნელად მიიღეს ქონება, გაძლიერდენ და დაუყონებლივ მიჰყვეს ხელი სპეკულიაციას, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სწორედ დაყენებულ ვაჭრობა-მრეწველობასთან.

ყველა ამ „სამწუხარო მოვლენებს“ ავტორი ხსნის მით, რომ „ჩამორთმეულ იქნა კერძო საკუთრება, რასაც არც ერთ კულტურულ სახელმწიფოში ადგილი არა აქვს“.

მთავრობის შეცდომათა შორის ყველაზე უფრო მძიმე შეცდომად ამ დეკრეტის შემუშავება და დაკანონება მიაჩნია გაზეთს, რადგანაც დეკრეტი არამც თუ არ მოსპობს სოფლად უკვე არსებულ ანარხიას, არამედ ის თვით იქნება მიზეზი მისი გამოწვევა-გაძლიერებისა.

„ამიტომ“, დაასკვნის გაზეთის მეთაურის ავტორი, „საქართველოს მთავრობა კარგს იზამდა, რომ მას აღედგინა სოფლის მესაკუთრეთა და გლეხთა შორის მშვიდობიანობა იმ აზრით, რომელსაც მოითხოვს კაცობრიობა და კულტურული სამართლიანობა“.

# ეროვნული საბჭო

**სამშაბათი, მარიამობისთვის 6. სხდომა მე-27-ე. თბილისი, სასახლე.**

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. კამათი შეწყვეტილი გახლავთ. უკანასკნელი სიტყვა მომხსენებელს ეკუთვნის.

მ. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი. (ს. დ.) მე მგონი, რომ არავის უთქვამს ამ ტრიბუნიდან თითქოს ჩვენს დებულებას საერობო არჩევნების შესახებ არავითარი ნაკლი არ ჰქონდეს, იყოს უნაკლულო. მართალია ნაკლი აქვს, მაგრამ მიუხედავათ ამ ნაკლისა დღეს აუცილებლივ საჭიროა საერობო არჩევნები ჩავატაროთ და არ გადავდოთ მანამდის, სანამ ანარქია მოისპობოდეს. ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის წამომადგენელი ასე არ ეხებოდა ამ საკითხს. მაგრამ თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით შევხედავთ მაშინ დებულება და არჩევნების წარმოება სულ სხვანაირად უნდა გაშუქდეს. მე აქ არსებითად არ შევეხები იმ მართლა ვრცელ სიტყვას, რომელშიაც ბევრი რამ წარმოითქვა ისეთი, რაც სრულიად არ შეეხებოდა ამ წინადადებას.

მე მსურს აღვნიშნო ის ადგილები, რომლებიც სიმართლეს მოკლებულნი არიან.

პირველი მოსაზრება, რომლის გამოც აქ მოითხოვდნენ არჩევნების გადადებას, გახლდათ ის, რომ ჩვენი არჩევნები ძირითად შემცდარის გზით მიდის და რა საფეხურზედაც უნდა იყოს მისული უნდა დავაბრუნოთ უკან და ახალი საძირკველი, სწორი საძირკველი უნდა ჩაუყაროთ ამ საქმესო.

ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ის დებულება, რომელიც ჩვენ გვაქვს, შეიძლება შეიცავდეს ზოგიერთ ნაკლს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ დებულების თანახმად დაწყებული არჩევნები ძირითად შემცდარი გზით მიდიოდეს.

რაც შეეხება სახალხო მეურნეობაში არსებულ დარგებს, აქ ყველა ეს დარგები გათვალისწინებულია და მომავალ ერობით ყველა ეს დარგი წესიერ ნიადაგზე დადგება.

თუ არის რამე შეცვლილი ამ დებულებით ეს მხოლოდ უფლებრივი მხარეა (ხმა მარცხნიდან: 112 კანონის სუნი უდის) ალბად ამით ყოფილა გამოწვეული ეს შენიშვნები, რომელიც მოიყვანა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელმა. ეროვნულ დემოკრატიული ფრაქცია, რომ ამას ამბობს, ალბად აქ სხვაშია საქე (ხმა მარჯვნიდან: რაშია?!. სიცილი) მეორე მოსაზრება, რომელიც მოიყვანა აქ ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელმა ბატონმა ასათიანმა საერობო არჩევნების გადასადებათ—ის გახლდათ, რომ ჩვენ არ გვაქვს საერობო სახელმწიფოებრივი ჩონჩხიო. ბატონ ასათიანს ავიწყდება, რომ ეს ერობა არის ნაწილი ამ საერთო სახელმწიფო ჩონჩხისა, სახელმწიფო აპარატისა.

შემდეგ, მესამე აზრი, რომელიც სიმართლეს მოკლებული იყო, შეეხებოდა აღმასრულებელ კომიტეტებს. აღმასრულებელი კომიტეტი რევოლუციის წარმომადგენელია დ მის შესახებ ყალბ აზრების გამოთქმას უნდა ყველა ერიდოს. (ხმები მარჯვნიდან: შევცდით! ფუ, ეშმაკსა!) ამიერ კავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებულ დებულებით ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარება დაკისრებული აქვთ აღმასრულებელ კომიტეტებს.

დღეს აღმასრულებელი კომიტეტები სრულებითაც არ არიან ცალმხრივად შედგენილი რევოლუციონური ორგანიზაციები, როგორც აქ განაცხადეს.

27 აპრილიდან მის შემადგენლობაში შევიდნენ ყველა ადგილობრივ ჯგუფების წარმომადგენლები. მაშასადამე აღმასრულებელ კომიტეტებს შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ თუნდაც ასეთ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტის შექმნაში, როგორიც არის ერობა.

აღმასრულებელი კომიტეტი—ეს ადმინისტრატიული ორგანოა, და მთავრობა უნდა დაყრდნობოდა მას, გამოეყენებინა, როგორც საერობო არჩევნების ხელმძღვანელი ორგანო. ამ აღმასრულებელ ორგანოებმა ბევრ მაზრას მისცეს საშუალება, რომ საერობო არჩევნები მოეხდინათ.

სადაც აღმასრულებელი კომიტეტები სუსტნი გამოდგნენ, ისეთ ადგილებში შესდგა საერობო კომიტეტები და ეხლა ბევრგან ისინი აწარმოებენ საქმეს.

მაგრამ აქ სთქვეს, რომ საერობო კომისიებიც ვერ მოქმედებენ კარგათო.

შესაძლოა დღევანდელ პირობებში საერობო კომიტეტები მართლაც ვერ მოქმედებდნენ წესიერად, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ არჩევნების შეჩერება უფრო მეტს ვნებას მოგვიტანს ვიდრე მის გაგრძელება, თუნდაც საერობო კომისიის ხელმძღვანელობით.

აქ სხვათა შორის შეეხნენ ტერორს. სადღაც ვიღაცა აშინებს ამომრჩევლებს, სადღაც ვიღაცას ემუქრებიან. თუ ეს მართალია მიმართეთ მთავრობას, რომ იქმნეს მიღებული სათანადო ზომები ტერორის ასალაგმავად.

ამისათვის საჭირო არ არის არჩევნების გადადება. ბატონი ჩიქოვანი შეეხო საარჩევნო წესდებას. მან განაცხადა საარჩევნო წესდება არ არსებობსო. ეს სიმართლეს მოკლებულია. წესდება არსებობს და ამ წესდებით ხელმძღვანელობენ, როგორც აღმასრულებელი კომიტეტები და საერობო კომისრები ისე პოლიტიკური პარტიები.

მართალია შემდეგ ცოტაოდნად შემცირდა ვადა საკანდიდატო სიების წარდგენისა, მაგრამ მე მგონი რომ ეს მომაკვდინებელი ცოდვა არ არის.

რაც შეეხება სიებს, აქ არც ამ სიების შესახებ სთქვეს მართალი. ყოველივე ჯგუფს შეუძლიან სამაზრო საარჩევნო კომიტეტს წარუდგინოს თავისი საკუთარი სია და არჩევნებში ცალკე გამოვიდეს.

აი ყველა ის შენიშვნა, რაც მე მსურდა მომეხსენებინა საბჭოსათვის და გამეკეთებინა ის დასკვნა, რომ ეს საკანონმდებლო წინადადება უარყოფილ იქმნეს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინც მომხრეა წინადადების გთხოვთ ასწიოთ ხელი.

რ. ი ნ გ ი ლ ო. რომელ წინადადების?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. იმ წინადადების, რორომელიც შემოიტანა ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციამ. (მომხრეა უმცირესობა). მაშასადამე წინადადება უარყოფილია.

ახლა გახლავთ აგრარულ კომისიის დადგენილება. მომხსენებელი გახლავთ ნინიძე.

კ. ნ ი ნ ი ძ ე. (ს. დ.) აგრარულ კომისიაში შემოვიდა მიწადმოქმედების სამინისტროს კანონ-პროექტი შესახებ იმ დეკრეტის გაუქმებისა, რომელიც იქმნა გამოცემული ამიერკავკასიის სეიმის მიერ.

ამ დეკრეტით აკრძალულია საერთოდ მიწის გაყიდვა. სამინისტრო თხოულობს რომ აღდგენილ იქმნეს უფლება იმ მიწების ყიდვა გაყიდვისა და დაგირავებისა, რომლებიც მდებარეობენ ქალაქ გარედ და რომელნიც არ აღემატებიან სეიმის მიერ მიღებულ ნორმას 7-8 დესატინას.

აგრარულ კომისიამ განიხილა მიწად მოქმედების ეს კანონ-პროებქტი და მიიღო რა მხედველობაში, რომ ახლო მომავალში უნდა გამოიცეს ახალი კანონი მიწის შესახებ და ალბად იმ კანონით, რომელიც გამოიცემა დაკმაყოფილებული იქნება მიწად მოქმედების სამინისტროს ეს შუამდგომლობა—დაადგინა ამ ჟამად უარყოფილ იქმნას მიწადმოქმედების სამინისტროს კანონ-პროექტი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის მიწად მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელს.

პ. გ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი. (მიწადმოქმედების მინისტრის ამხანაგი) მე ვეთანხმები და უკან მიმაქვს კანონ-პროექტი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ეხლა არის განსახილველი საფინანსო კომისიის დადგენილება. ამ დადგენილებას ფინანსთა მინისტრი ეთანხმება და სამინისტროს კანონპროექტი უკან მიაქვს. მაშასადამე ეს კანონპროექტიც უარყოფილია.

### პარლამენტის გარშემო.

დღეს ეროვნული საბჭოს კრებაა (მე-36-ე)

დ ღ ი უ რ ი წ ე ს რ ი გ ი:

1. საბოლოო ტექსტი—თამარ-მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის კანონისა.

მომხსენებელია რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე.

2. საბოლოო ტექსტი—საოსტატო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების კანონისა.

მომხსენებელია რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე.

3. საბოლოო ტექსტი—განათლების სამინისტროს ორგანიზაციის და შტატების კანონისა.

მომხსენებელია რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე.

4. განხილვა დებულებისა რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს შესახებ.

მომხსენებელია ი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.

5. განხილვა კანონ-პროექტისა—საგამომძიებლო ნაწილის შეცვლის შესახებ.

მომხსენებელი ი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.

6. განხილვა კანონ-პროექტისა—მომრიგებელ სამოსამართლო ინსტიტუტის შესახებ.

მომხსენებელია ი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი.

7. განხილვა კანონ-პროექტისა—საქართველოს რესპუბლიკის დროშის შესახებ.

მომხსენებელია კ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი.

8. განხილვა კანონ-პროექტისა—ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისა ეროვნულ საბჭოში.

მომხსენებელია შ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე.

9. საბჭოს წევრის ალ. ახმეტელის მთავრობისადმი შეკითხვა პურისა და სანოვაგის სიძვირის ნიადაგზე წარმოებულ აგიტაციის შესახებ—საქართველოს დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის მთავრობის წინაალმდეგ.

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

5 სექტემბერი.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 4 სექტემბერი. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრიც რუპრეხტის და ბოინეს ლაშქარი. ლისის ორივე მხრით მტერმა წინ წაწია ველვერგენიეპმაგ-მაურ-ლაგენდე-რიბენბურგის ხაზით. აქ ჩვენებმა მტერს დიდი ზარალი მიაყენეს, ხელთ იგდეს ბევრი ტყვეები. სკარპთან და სომასთან დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა. ღამით ჩვენ გავიყვანეთ ჯარები ბოლე-ბევრ-მანოკიურის ხაზზე. მუალო-პერონის ფრონტზე მტერი გუშინ არ მოქმედებდა. ნუაონის ორივე მხრით ფრანგებმა ძლიერი შეტევები დაიწყეს, განსაკუთრებით შამპანის და ბუსის შუა. ფრანგების ყველა შეტევები მოგერებულ იქმნა. მტრის შეტევა კუ.ილე-ბატოსთან ვერ დამთავრდა მის სასრგებლოდ. მოვიგერეთ აგრეთვე ფრანგების შეტევები ენისა და ელეტის შუა.

დავაზიანეთ გუშინ მტრის 22 ჰაეროპლანი და 7 ჰაეროსტატი. ლეიტენანტ რუესიმ ჰაერში ბრძოლის დროს გაიმარჯვა.

გენერალ კრონ-პრინცის ლაშქარი. რიპონის სამხრეთით ძლიერი შეტევის შემდეგ, ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები და ტყვის მფრქვეველები.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 4 სექტემბერი. საღამოს ცნობა. ჯერ არ მოსულა ცნობა მნიშვნელოვან ბრძოლის შესახებ. ელეტისა და ანის შუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგების განახლებული შეტევები მოვიგერიეთ.

პარიზი, ეიფელის კოშკი. ფრანგების სამხედრო ცნობა. 4 სექტ. ფრანგების ჯარებმა წინასწარი მომზადების შემდეგ, შეუტიეს უაზის ჩრდილოეთით და ვესლის ფრონტზე. წინ წასული ფრანგის ჯარები თავს დაესხნენ გერმანელ ჯარებს და დაიჭირეს საგოსპიტალო პარკი. ფრანგებმა წამოიყვანეს ბევრი ტყვეები, საიგდეს ზარბაზნები და ბევრი სურსათი ველუს ჩრდილოეთით გერმანელებმა უკან დაიხიეს, ფრანგებმა დაიჭირეს რუსი-ლუ-ლონგ.

ნიკოლაევი, 5 სექტ. დასაწყისი მიღებული არ არის. გერმანიის იმპერატორის ბრძანებით, გეტმანი წავიდა გერმანიაში. გეტმანს თან მიჰყვებიან გარეშე საქმეთა მინისტრი და ერთი ადიუტანტი. გეტმანის წასვლის გამო, უკრაინის მმართველად დარჩნენ: მინისტრ-პრეზიდენტი ლიზოგუბი, სენატორი მედენკო და სახალხო განათლების მინისტრი ვასილენკო

## უცხოეთი.

სამხედრო ტერორი ამერიკაში

ამერიკის მთავრობა მკაცრ ზომებს ღებულობს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ომის გაგრძელებას ეწინააღმდეგება. ამ უკანასკნელ ხანებში 4 შვედელ სოციალისტს მიუსაჯეს 25 წლის კატორღა ჯარში წასვლაზედ უარის გაცხადების გამო. შტატებში მხოლოდ ინგლისური ენაა სავალდებულო. ეროვნულ ჰიმნის უპატივცემლობისათვის ბევრს აჯარიმებენ და ციხეში სვამენ.

უმაღლეს სკოლათა „დემოკრატიზაცია“

თანახმად საბჭოთა დეკრეტისა დაევალა ყველა სასწავლებლებს მიიღონ სასწავლებლებში ყველა მსურველნი. საჭიროა მხოლოდ ხნოვანობის ცენზი, 16 წლიდან დაწყებული სიმწიფის მოწმობები და სწავლის გადასახადი ფული ისპობა.

მალვის გადასახლება.

პარიზიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი მალვი ზოგიერთ უფლებების მითვისებისათვის განდევნილ იქმნა საფრანგეთის საზღვრებიდან 5 წლის ვადით, უფლებათა შეუზღვედელათ.

საფრანგეთის ვალი.

ჟენევის „პრეს-ბიუროს“ ცნობით, საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა საფინანსო კომისიაში, რომ საფრანგეთს ინგლისის და ამერიკის 14 მილიარდი ფრანკი მართებს.

## სასურსათო სამინისტროში.

სასურსათო საქმის მინისტრის ცნობები.

მუშაობა დაიწყო 26 მაისს, დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. მაშინვე გამორკვეული იყო რომ, ძველი წლის სტატისტიკის მიხედვით, ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში და სოხუმის ოლქში, გარდა ახალციხის და ახალქალაქის მაზრებისა, ყოველგვარი ხორბლეულობის რაოდენობა იყო დაახლოვებით 27 მილიონი ფუთი წლიურად, ამაში შედიოდა სათესი მასალა 4 მილიონი, ასე რომ საქართველოში, როგორც საქონლის ისე ხალხის საკვებად რჩებოდა 23.000.000 ფუთი პური. და რომ გამოვარკვიოთ თუ რამდენი შემოდიოდა საქართველოში პური და გამოაკლოთ მას იმდენი, რამდენიც გადიოდა (უმეტესად-კი სიმინდი), გამოვა, რომ კერძოდ საქართველოში შემოდიოდა $6^1/_2$—7 მილიონი ფუთი პური.

თუ საქართველოში მცხოვრებთა რიცხვს ჩვენ ვიანგარიშებთ, ქალაქად—400.000 კაცს და სოფლად 2.400.000 და თუ ვიანგარიშებთ მინიმალურ ნორმას თითოულ კაცზე სოფლად 13 და ქალაქად 8 ფუთს, ჩვენთვის უსათუოდ საჭირო იქნება 32 მილიონი ფუთი პური წელიწადში.

წელს თუ ძველ ციფრებს მივიღებთ, უნდა შემოვიტანოთ 7—8 მილიონი ფუთი პური. თუ ანგარიშს გაუწევთ წლევანდელ მოსავალს და ქუთაისის გუბერნიაში იქნება ისეთი მოსავალი, როგორც ახლა უჩანს პირი, რადგან სიმინდი დათესილია ყველა თავისუფალ ადგილებში და სოხუმის ოლქში თითქმის ყველა თავისუფალი თუთუნის პლანტაციაც, ბ-ნ მინისტრის აზრით, წლევანდელი მოსავალი 3—4 მილიონ ფუთზე მეტი იქნება, გაცილებით წინა წლეებზე, ესე იგი, შემოსატანად სრულიად საკმარისი იქნება 3—$4^1/_2$ მილიონი ფუთი პური.

ეს არის ნუსხა შემოსატან პურისა.

პური ჩრდილო-კავკასიიდან.

ჩვენ ძველად ვიკვებებოდით უმთავრესად ჩრდილო-კავკასიის პურით, მაგრამ ის ფართო ოპერაციები, რომელსაც სამინისტრო იქ აწარმოებდა სამეურნეო წესით, კატასტროფით გათავდა, რადგანც გაუნელებელმა სამოქალაქო ომმა არ მოგვცა საშუალება გამოგვეტანა ნაწილი მაინც იმ პურისა, რომელიც ჩვენმა აგენტებმა იქ შეისყიდეს.

ეხლაც დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს იქიდან რამე გამოვიტანოთ, რადგან უკანასკნელად მიღებულ ცნობებით ყაზახები და ოსები ძალებს იკრეფენ და კავკავისაკენ მოდიან.

ჩრდილო ოსეთიდან, მამისონის უღელტეხილით ონში მოდის წვრილ-წვრილათ ჩვენ მიერ ნაყიდი პური, მოაქვთ პური აგრეთვე კერძო ვაჭრებს. მაგრამ საქმეს აბრკოლებს გამოურკვეველი პოზიცია ოსებისა ეროვნულ საბჭოში. ამ ბოლო ხანებში ჩვენ თუმცა უკვე გამოვნახეთ საერთო ენა. მეორე დამაბრკოლებელი მიზეზი არის გზის უქონლობა.

პური უკრაინიდან

უკრაინიდან პურის მოსატანად ჩვენ შევკარით ხელშეკრულება კაპიტალისტთა ერთ ჯგუფთან და გვაქვს იმედი, რომ ნაწილი ამ პურისა მაინც მოგვივა, თუმცა პურის სიცოტავემ უკრაინაში და ზღვის პირა მდებარე ადგილებში უკვე იჩინა თავი.

პური ადერბეიჯანიდან

სხვა გარეშე ქვეყნებში პურის ოპერაციებს, მაგალითად ადერბეიჯანში, ასე ვთქვათ აქვს პიროვნული ხასიათი. არის ხელშეკრულება დადებული სასურსათო საქმის მინისტრის მიერ ადერბეიჯანის სასურსათო მინისტრთან აგა აშუროვთან, თანახმად ამ ხელშეკრულობისა უნდა მივიღოთ 80 ათასი ფუთი ხორბალი.

შინაგანი ოპერაციები.

ჩვენი შინაგანი მოქმედება განისაზღვრება იმ ოპერაციებით, რომელსაც აწარმოებს მთავარ რწმუნებული არდიშვილი. ხოლო ოპერაციები, გარდა ბორჩალოს მაზრისა, სადაც თავისუფლად ვაჭრობა აიკრძალა, სასურველ შედეგებს ვერ იძლევა, რადგან პურის მყიდველები, და პურს კი ყიდულობს ყველა, ვისაც კი ორი გროში მოეპოვება, სწევენ ფასს.

რა შედეგები მოიტანა პურის მონოპოლიის გამოცხადებამ.

ჯერ-ჯერობით თქმა იმისა, დასცა თუ არა პურის ფასი პურის ვაჭრობის თავისუფლად გამოცხადებამ, შეუძლებელია, თუმცა ქალაქებში გამომცხვარ პურის ფასმა დაიკლო, სოფლებში კი, რომლებსაც დაესია აუარებელი ორგანიზაციები და კერძო პირები, ფასი ნელ-ნელა იწევს ზევით და ახლა საქართველოს ყველა კუთხეში ფუთ პურს ვერ იშოვით არა ნაკლებ 100—120 მანეთად.

მარილი და მის გარშემო ატეხილი დავა.

ერთი დიდი ოპერაცია, რომელსაც აწარმოებდა სამინისტრო, ეხება მარილს. აღსანიშნავია ერთი გარემოება. როდესაც სამინისტრო, ამა თუ იმ სანოვაგეს თითონ არ ყიდულობს, მაშინ კერძო ინიციატივას მიქცეული აქვს ყურადღება მხოლოდ იმისაკენ, რომ პატარ-პატარა ნაჭრები ჩამოიტანონ და გაჰყიდონ საოცარ დიდ ფასებში, და როდესაც სამინისტრო, ამის აღსაკვეთად თავს გამოიდებს და დიდ ნაბიჯებს გადასდგამს დაიწყება ხოლმე ერთი აურ-ზაური, რომ თითქოს სამინისტრო კერძო ინიციატივას გასაქანს არ აძლევს და აფერხებს საქონლის შემოტანასაც.

სანამ სამინისტრო დაიწყებდა მარილის ოპერაციას, ყველამ კარგად იცის, თუ სახელმწიფო რა საშინელ კრიზისს განიცდიდა ამ მხრივ. ეხლა-კი, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ერთი ნაწილი ამ ოპერაციისა ჩვენ უკვე დავამთავრეთ და 8 მანეთად ფრანკო—ფოთიდან ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს 300 ვაგონამდი და 100 ვაგონსაც ამ დღეებში მივიღებთ.

ესე-იგი, თუ მარილის ნორმას საქართველოში ჩვენ მივიღებთ 1,300.000 ფუთს წლიურად, ჩვენ ამის მეოთხედი სამინისტროს საშუალებით მიღებული გვაქვს, და რომ ამ აურ-ზაურს, რომელიც ამ მარილის გარშემო იყო ატეხილი, ბოლო მოეღოს, ჩვენ გამოვაცხადეთ საჯარო ვაჭრობა და დღეს-კი თორმეტ საათზე (ხუთ სექტემბერს) თავდება ვადა და ჯერ-ჯერობით არც ერთი სერიოზიული განცხადება 8 მან. ნაკლებ, არამედ 8 მანეთადაც არავის შემოუტანია.

აურ-ზაური-კი მარილის გარშემო აიხსნება მით, რომ მარილის თავისუფლად გაყიდვისა აკრძალვამ მაშინ, როდესაც მარილი ბაზარზე ფასობს 40—60 მან. ფუთი, ბევრი ჯგუფების ჯიბეს ძალიან მაგრად დაჰკრა.

მოცვის ჩაი.

სასურსათო სამინისტროს თავის საგანგებო რწმუნებული ჰყავს ქუთაისის გუბერნიაში მოცვის ჩაის დასამზადებლად და უკვე 20,000 ფუთზე მეტი აქვს შეკვეთილი.

თუ ქუთაისის წვრილ-წვრილი ქარხნები მოახერხებენ ამ მოცვის მომზადებას, ეს დიდ საშუალებას აღმოუჩენს ჩვენს ქვეყანას და საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეშიაც სათანადო და ღირს-შესამჩნევ როლს ითამაშებს.

თამბაქო.

სასურსათო სამინისტრომ მისცა გურიის მეთუთუნეთა ამხანაგობას ხუთასი ათასი მან. და მათი თამბაქო დაიბევა.

პურის განაწილება.

რაც პური შემოვა, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, პირველ რიგში მიეცემა ჯარს, მუშებს და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებს.

სამინისტროს რეორგანიზაცია.

ეხლა სამინისტრო იმუშავებს სასურსათო სამინისტროს რეორგანიზაციის გეგმას.

არსებობს ორი აზრი: 1) რადგანაც პურზე თავისუფლად ვაჭრობაა, ასევე უნდა გამოცხადდეს სხვა სანოვაგეებზედაც. უნდა გაუქმდეს უსათუოდ სასამართლო სამინისტრო, და უნდა დარჩეს მხოლოდ საქონლის საზღვარ გარეთიდან შომტანი განყოფილება (ОТДѢЛЪ ПО ЗАГРАНИЧНЫМЪ ЗАГОТОВКАМЪ) 2) მეორე მიმდინარეობა იმ აზრისაა, რომ ახლო მომავალში საჭირო იქნება ნაწილობრივ პურის თავისუფლად ვაჭრობის აკრძალვა, აგრეთვე აკრძალვა იმ საქონლის თავისუფალ ვაჭრობის (თამბაქო, ნახშირი, ხე-ტყე), რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენ სავაჭრო პოლიტიკისათვის. უსათუოდ საჭიროა მწყობრი ორგანიზაცია. იქნება სასურსათო სამინისტრო თუ მისი მსგავსი ორგანო, ეს სულ ერთია.

ეხლა სასურსათო სამინისტროს ზოგიერთ საქმეების, უმეტესად ხელ შეკრულების დადების დროს, სამინისტროს ზოგიერთმა მოხელეებმა ვერ გამოიჩინეს საქმის სათანადო ცოდნა და კეთილ სინდისიერება. ამან გამოიწვია ფართო საზოგადოების უკმაყოფილება.

ამიტომ მთავრობის გარდაწყვეტილებით დანიშნულია რევიზია მდგომარეობის გამოსარკვევად, და მოხელენი, რომელნიც ამ რევიზიაში საპასუხმგებლო როლს თამაშობენ, დროებით თანამდებობიდან გადაყენებულნი არიან.

ერთი პროვინციის მოხელის საქმე კი გაიგზავნა სასამართლოში გამოსაძიებლად.

ნაციონალიზაცია.

სასურსათო სამინისტროს სრულიად გაეროვნება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, თუმცა ყველა საპასუხმგებლო თანამდებობანი ქართველობას უჭირავთ. რაც შეეხება პატარა მოხელეებს, ისინი ჯერ საქმისათვის საჭირონი არიან და აქაც ნაციონალიზაცია თანდათანობით მოხდება.

საერთოდ, უწყება იმ აზრისაა, რომ საქართველო სულ ახლო მომავალში სურსათის მხრივ სავსებით უზრუნველ ყოფილი იქნება.

## ახალი ამბები.

### მთავრობაში.

○ ქალაქის თავმა ნ. ზ. ელიავამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მიეცეს ქალაქს პირველი და მეორე წისქვილი. მთავრობის თავჯდომარემ განკარგულება მოახდინა რომ საინტენდანტო ქონების გაყიდვის ან იჯარით გაცემის დროს უპირატესობა მიეცეს საზოგადო დაწესებულებებს.

○ ალ. ლომთათიძემ ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს გამოუგზავნა განსახილველად დამფუძნებელი კრების დებულების ორი ბროშიურა.

○ შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობის თავჯდომარეს მოხსენება წარუდგინა მანთაშევის ქარვასლაში ამას წინად აღმოჩენილ საქონლის სამხედრო მასალის და იარაღის შესახებ.

### გამომცემლობა.

○ კვირას, დილის 11 საათზე „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში დანიშნულია მწერალ-ხელოვანთა კრება სოც.-დემ. მიმართულებისა საქართველოში მხატვრულ ჟურნალის გამოცემის შესახებ. სთხოვენ ამხანაგებს უსათუოდ დაესწრნენ.

○ იბეჭდება და მალე გამოვა ი. გრიშაშვილის „საიათნოვა და ძველი ტფილისი“.

### ხელოვნება.

○ სახელმწიფო თეატრის სეზონის ოპერის დირიჟორი ბ. ჩერეპნინი თანახმად ჟიურის დადგენილებისა, გახსნის ჰიმნთა შეჯიბრებაზე მოწონებულ კომპოზიტორ ნ. პ. სულხნიშვილის, თხუზულებით „ღმერთო ღმერთოთი“, რომელიც უკვე გადაკეთებულ იქმნა სიმებიან ორკესტრზე.

### სასოფლო კომისიაში

○ სასოფლო კომისიამ დაადგინა გაგზავნოს აღბულაღში ორი პროპაგანდისტი.

○ სასოფლო კომისიას წიფის რაიონიდან შემდეგს ატყობინებენ: „მობალშევიკო“ ჯარის კაცები ზოგიერთ ადგილებში ფარულად მუშაობენ. გლეხებს ძლიერ აწუხებს სიმშილი, ნავთის უქონლობა სიძვირე და სხვა.

### საზოგადოებანი და კრებები

○ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი რუსეთში მყოფი გაბრიელ ხუნდაძე კვირას 8 ენკენისთვეს სახელმწიფო თეატრში წაიკითხავს მოხსენებას რუსულ ენაზე დღევანდელ რუსეთის მდგომარეობაზე: 1) საბჭოს რუსეთის ტერიტორიალური ფარგლები; 2) საბჭოთა მთავრობა; 3) სხვა და სხვა საზოგადოებრივი ძალების განწყობილება საბჭოთა მთავრობასთან და 4) საბჭოთა მთავრობის ნაციონალური პოლიტიკა. დასასრულში შეიძლება შეკითხვების შეტანა უკამათოდ.

○ მთავრობის განკარგულებით დაარსდა წითელი ჯვრის საზოგადოება, რომლის პირველი დამფუძნებელი კრება დანიშნულია კვირას, 8 ენკენისთვეს 11 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში.

### ხოლერა.

○ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 10 ხოლერიანი და სამი საეჭვო ავადმყოფი. გარდაიცვალა 12 ხოლერიანი და ერთი საეჭვო ავადმყოფი. 4 სექტემბერს იყო 78 ხოლერიანი და 25 საეჭვო ავადმყოფი.

○ „ბელიკლიუჩში“ მომხდარ არეულობის გამო გაიგზავნა დელეგაცია, რომელშიაც შედიან საქართველოს, სომხების და რუსთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნი.

## აღმაშფოთებელი ამბავი.

„სახ. საქმის“ ხაშურელი კორესპონდენტი იუწყება შემდეგს:

„მაგალითი ბევრია, მაგრამ ყოველივე დაჩრდილა აგვისტოს 26 მომხდარმა გულშემზარავმა ამბავმა, ამ დღეს, დაახლოვებით 10 საათზე ადგილობრივ (ხაშურის) კომისარის სამართველოს ეზოში ვერაგულად მოჰკლეს ტ. ჯაფარიძე, რომელიც მხოლოდ იმაში იყო დამნაშავე, რომ ეროვნულ დემოკრატს უწოდებდა თავს. კერძო შურისძიების დასაკმაყოფილებლად ერთი თვის წინად მის ბინაზე მიიჭრა სამი გვარდიელი, თოფიც დაახალეს, მაგრამ განწირული ჯაფარიძე რაღაც სასწაულით გადარჩა. გვარდიელებს ცოტა ხნით იარაღი აჰყარეს და არავითარი ზომები არ მიუღიათ მოქალაქის პიროვნების დასაცავად. აგვ. 26 ჯაფარიძე მიიწვიეს კომისარიატის შენობაში, აქვე ბრძანდებოდნენ მისი „მეგობრები“. მათ შორის ძველ ინციდენტის შესახებ ყოფილა ლაპარაკი რის შემდეგ ჯაფარიძეს დაუტოვებია კომისარიატი და სახლისაკენ გამომგზავრებულა, მაგრამ ამ დროს გავარდა საბედისწერო ტყვია და შუბლ განგმირული ჯაფარიძე მიწაზე გაიშხლართა. მხოლოდ მკვლელი კი წყნარი ნაბიჯით გაუდგა გზას. კომისარიატის ეზო სავსე იყო მილიციონერებით, აქვე იყო მილიციის უფროსი ვ. ციციშვილი, რაიონის კომისარი, ქალაქის კომისარი და სხ. თანამდებობის პირნი, მაგრამ მკვლელი მაინც ვერ შეიპყრეს“...

იმედია, ამ ამბავს ახლავე მიექცევა ყურადღება, ფიცხელი გამოძიებით ნათელი მოეფინება ყოველივეს და დამნაშავენი ღირსეული სასჯელით დაისჯებიან.

## განცხადებები


რაბინი აბრაამ ხვოლისი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა: პიროვნების მოწმობა ცხინვალის მეორე კოოპერატივის „იმედი-“ს დამტკიცებული წესდება. ხსენებული საბუთები დღეიდან გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს. 3—2.

ვასილ ნიკოლოზის ძე დაუშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული შქმარის სასოფლო კომისრისაგან 25 ივნისს. № 85, მეტრიკული მოწმობა, მიღებული თბილისის სინოდალურ კონტორიდან, აზოვ-დონის და ვოლგო-კამის ბანკების ჩეკები №№ 2889 და 86314. 3—1.

დავკარგე ტყავის საფულე 15,000 მანეთით, პასპორტი და სხვა ჩემთვის საჭირო საბუთები. ვსთხოვ მპოვნელს დამიბრუნოს პასპორტი და საბუთები შემდეგი მისამართით: კათოლიკების ქუჩა № 4 სტეფანე ჩილინგარაშვილი—ვარდიძე. № 687. 3—1.

მიხეილ ივანეს ძე მერენბლიუმი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმწიფის მოწმობა, მიღებული თბილისის მეორე გიმნაზიიდან 1914 წ. 7 ივლისს № 713. № 682. 3—2.

დაიკარგა თბილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 46344., 25 მან. 3—2.

ქვემო მაჩხანში მცხოვრებ ვასილ დაძირაშვილს დაეკარგა თავისუფალ სესხის 12000 მ. ღირებულების კვიტანცია № 5473. № 685, 3—2.